



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
აკადემიური საბჭო

დადგენილება № 01-05-04/202

ქ. თბილისი

25 ივლისი 2018

2018-2019 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრისათვის სტუ-ში ფაკულტეტების  
მიხედვით შიდა მობილობის წესით საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები  
კონტინგენტის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სწავლების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის, თამარ წერეთლის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 25 ივლისის №01-05-02/14 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. დამტკიცდეს 2018-2019 სასწავლო წლის პირველი სემესტრისათვის სტუ-ში ფაკულტეტების მიხედვით სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვისათვის ადგილები, მოთხოვნის შესაბამისად;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი

გ. სალუქვაძე